ISSN 0132-6015

ნიაკბეი 16

აგვისტო
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მასწავლებელო, ისე გიპასუხოთ, როგორც სახელმძღვანელოში წერია, თუ როგორც სინამდვილეში იყო?

ოთარ მამფორია

ანუ დაშვებული შეცდომების აშვებული კრიტიკა,
იგავად თქმული

ტახტზე იჯდა მეფე-ლომი, ძლიერი და ცბიერი.
სამეფოში მაძღარ კაცად ითვლებოდა მშიერი!..
ლომმა ყველა გააწამა, დაუკარგა ხალისი.
მკაცრად სჯიდა ქვეშევრდომებს თურმე ყველის
ჭამისთვის.

ხალხი, აბა, რას იზამდა, იყო შავბნელ დღეშია,
და უყველოდ მჭადის ჭამა ჩამოხრჩობას ერჩია!..
დესპოტ ლომმა ბრალი მაინც დასდო ყველის ჭამაში,
განურჩეველად დაატყვევა მახინჯი და ლამაზი!..
ზოგი შანთით აწამა და ზოგიც — ბნელში ჩარაზა,
ვეფხვი კატას დაამგვანა და ვირთხას კი — ავაზა!..
ლომი მოკლეს!.. სათნო სპილომ ტახტი შეინაცვალა.
ყველის ჭამა დააწესა, მჭადის ჭამა აკრძალა!..
მაგრამ დიდხანს არ დასცალდა, თავს დააცხრა
აფთარი...
და ორივე მგელმა დასცა მოსყიდულ სამართალით!..
მგელმა ტახტი როს ჩაიგდო, ყველიც მოსპო,
მჭადიცა!..
მოკლულ ლომის საგინებლად ქადაგად გადაიქცა!..
იმძლავრა და ინეტარა, ბევრიც იბედოვლათა,
მერე ტახტზე შედგა დათვი, თავი მეფედ მონათლა!..
ასე ბრძანა: „იმ დიდ ომში მე ხომ ლომსაც ვაჯობე?!“
და ჯვარ-მედლებს იწებებდა მკერდზედაც და...
საჯდომზეც!..
ისიც გაქრა, მასთან ერთად — მისი ყალბი დიდებაც!
მჭადიც ვერვინ გატეხა და ყველიც ვერვინ იგემა!
დათვის ნაცვლად სირაქლემა ახალ მიზნებს სახავდა,
ისე მალე მიიცვალა, მხეცობა არ დასცალდა!..
მის ადგილას გაჩნდა ტურა, სამეფო კვერთხს
დაეყრდნო,
მაგრამ ქვეყნის სამსახურად მასაც ძალა არ ეყო!..
ქუხდა ხალხის ტაშისცემა, ყველა მეფის ქებისა,
მჭადისა და ყველის ჭამა ერთად თუმც არ ეღირსათ!..

ადრეც მითქვამს ეს იგავი, მაგრამ პირი ამიკრეს!..
ახლა უკვე გვიან არი, მკვდრები რაღას გაიგებს?!.

ნახ. ბ. ზუგაშვილისა



უსიტყვოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ბეჭან გოგიასი

— პარმენა მასწავლებელო! ხომ ვყოფილვარ სწორი, სსრკ ისტორიას რომ არ ვსწავლობდი!

ემილ კროტკი

ფრაზები

● ავტომანქანების ნაკადი რომ დაინახა, ცხენმა თავის მომავალზე კუდი ჩაიქნია.

● ოცნების კოშკების მშენებლებს არასოდეს აკლდებათ საშენი მასალა.

● მას იყენებდნენ, როგორც ავტომანქანების სათადარიგო საბურავს — თვლიდნენ აუცილებლად, მაგრამ ბოლოში ჰყავდათ გადანახული.

● ცუდ ადამიანებზეც კი შეიძლება კარგი ნაწარმოებების დაწერა.

● ტაქტი მარტო მუსიკაში როდია საჭირო.

● ქათამს სიამოვნებდა, მაღაზიაში ნიწილად რომ ყიდდნენ.

● ფრთხილი რედაქტორია — გამრავლების ტაბულასაც კი საკითხის განხილვის წესით ბეჭდავს.

● ჩივილი უყვარდა — ბიბლიოთეკაშიც მხოლოდ საჩივრის წიგნს კითხულობდა.

● მუდმივი მერყეობა მხოლოდ ქანქარას ეპატიება.

● არაფერზე არ უნდოდა პასუხისმგებლობა — თუ იტყოდა, დედამინა ბრუნავსო, დააყოლებდა, კოპერნიკის აზრითო.

● ბუზის მიღება სპილოსაგან არარენტაბელურია — ძალიან ბევრია დანახარჯები.

● სიფრთხილის უმაღლესი გრძნობა ჰქონდა — ოთახშიც კი იცავდა ქუჩაში მოძრაობის წესებს.

● მეხსიერება არ ღალატობდა — თვითონ ღალატობდა მეხსიერებას, როცა საჭიროდ მიიჩნევდა.

● არავინ მოსწონს. ადამიანების შესახებ ისე ლაპარაკობს, თითქოს მთელი ქვეყანა მის წინ საბრალდებო სკამზე იჯდეს.

● იგი ჭკვიანი კაცი იყო მოკლე დისტანციაზე.

● ბებერი ძაღლი კბილების პროთეზზე ოცნებობდა — კიდევ უნდოდა კბენა.

● მომხსენებელი ნამდაუწუმ ამბობდა: „მე მინდა შევჩერდე...“ და სამ საათს არ შეჩერებულა.

● კარგად ახსოვდა თავისი ძველი მეგობრები და შეხვედრის დროს შეუმცდარად არიდებდა თავს.

● კრივს ყოველთვის კმაყოფილებით უყურებდა — სიამოვნებდა, რომ სხვას ურტყამდნენ და არა მას.

● ცოცხალი რომ ყოფილა, გაიგეს განცხადებიდან მისი გარდაცვალების შესახებ.

● ორსართულიანი სახლი თავის თავს დაუმთავრებელ ცათამბჯენად თვლიდა.

● მას ნამდვილად არა ჰყოფნიდა სიტყვები: წამდაუწუმ თავმჯდომარეს სთხოვდა სიტყვას.

● დღეს იმას აქებს, ვისაც გუშინ აგინებდა — არ უყვარს განმეორება.

● ლოკოკინა, რაც უნდა შორს ნავიდეს, მაინც თავის სახლშია.

● ფლუგერი ფიქრობდა, რომ ქროლის მიმართულებას უკარნახებდა ქარს.

● ყველა იყურება, მაგრამ ცოტანი ხედავენ.

● მის მოქმედებაში არც ერთი სისტემა არ იგრძნობოდა, გარდა ნერვულისა.

● ავი ძაღლი გუნებაში მაშინაც იყეფება, როდესაც დუმს.

● სულით არ დაეცე! — დაიმტვრევი!..

● დადგენილება ხშირად მიცვალებულს ჰგავს: გამოაქვთ და ივიწყებენ.

● მომავლის სასამართლო ცუდი იქნება იმით, რომ საკითხს განიხილავს დაზარალებულის გარეშე.

● გინდოდა, მისი ხმა პატეფონის ფირფიტაზე ჩაგეწერა და ფირფიტა გაგეტეხა.

● ვარსკვლავებსაც კი ზევიდან დაჰყურებდა.

● უძმე დღეებიც ცხოვრებაში ითვლება.

● არ ცდება ის, ვინც არაფერს აკეთებს, მაგრამ არაფრის კეთებაც შეცდომაა.

● მისი ბინა ყველაფრით უზრუნველყოფილი იყო — მის მაგივრად რეცხავდა მანქანა, მის მაგივრად ასუფთავებდა მტვერსასრუტი და ვილაცაც კი ცხოვრობდა მის მაგივრად.

● თუ შენი თავი ვერ იპოვე, სხვა როგორ გიპოვის?!

● ქორწინება არის მშვიდობიანი თანაარსებობა ორ ნერვულ სისტემას შორის.

● ავტომანქანაში იჯდა სტანდარტული ახალგაზრდა, ერთ-ერთი მათგანი, რომელთაც სერიულად უშვებენ მანქანებთან ერთად.

● სიფრთხილის ზენიტი: კრივი მიწერ-მოწერით.

● აზროვნებდა მხოლოდ სიარულის დროს, მაგრამ ძალიან ცოტას დადიოდა.

● რენტგენითაც რომ გაგეშუქებინათ, ნიჭის კვალს ვერ აღმოუჩენდით.

● ცხოვრება უნივერმაღს ჰგავს: ყველაფერს ნახულობ იმის გარდა, რაც გინდა.

● მასზე ვერ იტყოდი, სხვისი ჭკუით ცხოვრობსო — თავისი უჭკუობით ცხოვრობდა.

● არავითარი საკუთრება არ გააჩნდა — თავისი თავიც კი მას არ ეკუთვნოდა.

● კურორტიდან დაბრუნებული ტრაბახობდა: — ჩვენი უფროსი და მე ერთსა და იმავე ზღვაში ვბანაობდითო.

● ცხოვრება სკოლაა, მაგრამ ნუ ჩქარობ მის დამთავრებას!

● მისგან პორტრეტი არ გამოვიდოდა, შეიძლებოდა ნატურმორტი დაგეხატათ.

თარგმნა ჯემალ ინჯიამ

ეკონომიკას რა უნდა?!...

ერთხელ მეფეს მოახსენეს თურმე, თქვენი მარნის დარაჯი ღვინოს უნდა იპარავდეს, რადგან თაროზე მუდამ სველი ჯამი უდევსო. მეთვალყურე მიუჩინეთო! — ბრძანა მეფემ, დილით კი თავად ესტუმრა მარანს, რათა საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებულიყო. ძალიან განრისხდა ერთის ნაცვლად ორი სველი ჯამი რომ იხილა. ბრძანა მაშინ — მეთვალყურე მოხსენით, რადგან დარაჯი ქურდობას მაინც არ მოიშლის და რაც უფრო ბევრ დამყურადებელს მივუჩენ, იმდენად მეტი ღვინო დამაკლდებაო!

საწყენია, რომ დღეს, ტექნიკური პროგრესისა და რობოტიზაციის მომძლავრების ჟამს, შუა საუკუნეებში შეთხზული ეს ამბავი ისეთი აქტუალური და თვალშისაცემია, როგორც არასოდეს. აქტუალურია თუნდაც იმიტომ, რომ დებეტისა და კრედიტის, აქტივისა და პასივის დასაზუსტებლად, წვრილმანი ქურდობისა და მსხვილმანი დატაცებების თავიდან ასაცილებლად ჯგროდ დადიან საწარმო-დაწესებულებებში იღლიაში საანგარიშოამოდებული შემმოწმებლები, რომლებიც ხშირად თავად უწყობენ ხელს სხვადასხვა ჯურის კომბინატორებს, მეტიც, არცთუ იშვიათად თვით უბიძგებენ დანაშაულისაკენ უანგარო და უდანაშაულო ადამიანებს. ამის თაობაზე ბევრი დაიწერა პრესაში, არაერთი არაკეთილსინდისიერი რევიზორი გაასამართლეს და მკაცრი სასჯელიც მიაგეს, მაგრამ ერთეული ფაქტების გამოწვლილვა და მათი თეორიული განზოგადება ბევრს რომ ვერაფერში გვშველის, ესეც ფაქტია და, როგორც ჩანს, მანკიერებათა სოციალური არსის შესწავლისა და მისი ძირფესვიანად ამოძირკვის გარეშე შორს ვერ წავალთ. თუმცა ვიდრე ძირითად სათქმელს ვიტყოდეთ, მკითხველს გვინდა მივაწოდოთ ერთგვარი **სახალისო ინფორმაცია.**

ზედაპირული გაანგარიშებითაც კი იოლი დასადგენია, რომ დღეს **ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციების შემოწმების უფლება 50-ზე მეტ მაკონტროლებელ ორგანიზაციას აქვს.** ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს:

1. თბილისის ოქტომბრის რაიონის საზკვების ტრესტის №97 გაერთიანების სახინკლე „გემო“ მიმდინარე წლის 11 თებერვალს შეამოწმა „წყალკანალის“ ტრესტმა.

2. თბილისის საზკვების გაერთიანების შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამმართველომ ამავე სახინკლეში 17 მარტს შეამოწმა სამუშაო დროის გამოყენების მდგომარეობა.

3. 1987 წლის 23 იანვარს თბილისის კალინინის ალკკ რაიკომის პროექტორის შტაბის დავალებით შემოწმდა კალინინის რაისურსათვაჭრობის №1 მაღაზიაში ფრინველითა და კვერცხით ვაჭრობის მდგომარეობა.

4. 1987 წლის 27 აგვისტოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თბოენერგიისა და წყლის რაციონალურად ხარჯვის კონტროლის ინსპექციამ შეამოწმა საქარხნო რაიონის სურსათვაჭრობის №15 მაღაზია.

ამის შემდეგ არ შეიძლება კაცს არ გაუჩნდეს შემდეგი შეკითხვები:

1. როგორ დავიჯეროთ, რომ „წყალკანალის“ ტრესტმა და ქალაქის საბჭოს კონტროლის კომისიამ ყველგან მოაგვარეს წყლის ნორმალურად ხარჯვის საკითხი და ახლა სავაჭრო ორგანიზაციებში „აგვარებენ“?

2. თბილისის საზკვების გაერთიანების შრომის მეცნიერული ორგანიზაციის სამმართველოს სახინკლეში სამუშაო დროის გამოყენებაზე მეტად განა სხვა პრობლემები არ უნდა აწუხებდეს?

3. ნუთუ კალინინის ალკკ რაიკომის პროექტორის შტაბმა უკვე აღმოფხვრა ახალგაზრდობასთან მუშაობის საქმეში არსებული პრობლემები და ახლა მხოლოდ ის აწუხებს, თუ რომელი უფრო ადრე გაჩნდა — ქათამი თუ კვერცხი?

ანალოგიურ შეკითხვებს დასასრული არა აქვთ. ავიღოთ თუნდაც ასეთი ფაქტი: **დღეისათვის ჩვენთან ფუნქციონირებს რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული სანეპიდსადგურები. მათ გარდა სავაჭრო ობიექტების მიერ სანიტარული პირობების დაცვას აკონტროლებენ ქალაქის ვაჭრობის სამმართველოსა და ვაჭრობის სამინისტროს სამედიცინო სამსახურებიც.** ორი ძიძის ხელში ჩავარდნილი ბავშვის ამბავს თუ გავიხსენებთ, ხუთი ძიძის ხელში ჩავარდნილის მდგომარეობაც ადვილი წარმოსადგენია. **განა რაიმე ეტყობა საიმისო ჩვენს მაღაზიებსა და რესტორან-სახინკლეებს, რომ მათ სანიტარულ მდგომარეობას ამდენი ექიმი და ექთანი უდგეს დარაჯად?**

რა უნდა გვაფიქრებინოს იმ ფაქტმა, რომ **ოქტომბრის რაიონსურსათვაჭრობის №8 მაღაზია საკონტროლო ჟურნალის მიხედვით 18-ჯერ შეამოწმეს შარშან, მის გვერდით მდებარე ბიბლიოთეკაში კი 1983 წლის შემდეგ რევიზია არ მისულა?** წიგნის მესვეურები ყანყრატოში ხელწაჭერილები იხვეწებიან, ინვენტარიზატორები გამოგვიგზავნეთო, რადგან მათი ჩარევის გარეშე შეუძლებელია გაცვეთილი წიგნების ჩამოწერა და ახლის შეძენა.

ან **ვაჭრობის სამინისტროს მეტროლოგიური სამსახური დაუსრულებელი შემოწმებებისას რატომ ვერ ამჩნევს იმ ამბავს, რომ თითქმის ყველა სასწორი რატომღაც გამყიდველების სასარგებლოდ იძლევა ცთომილებას? ან ხარისხის ინსპექციის მუშაკები, დაქიჩმაჩებულები რომ დარბიან მაღაზიიდან მაღაზიაში ხარისხდაკარგული საქონლის ძებნაში, რატომ იმასაც არ მიუთითებენ, რომ ვაჭრობის სისტემაში საქონლის წახდენის ძირითად მიზეზს სათანადო სასაწყობო მეურნეობის უქონლობა და გაუმართავი სამაცივრო დანადგარები წარმოადგენს? ან იქნებ იმაზეც დაფიქრდნენ, რომ სავაჭრო ქსელში შემოსული საქონლის ხარისხი უმეტესწილად საწარმოში, მისი დამზადების პროცესში უარესდება! განა აქვე არ ირღვევა მისი ზომა-წონითი სტანდარტი?..**

თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, რაოდენ საწყენი და მტკივნეულიც უნდა იყოს, ფაქტია, რომ სავაჭრო ორგანიზაციებისაკენ შემმოწმებელთა ამგვარ ყიყინანარევ ლტოლვას გარკვეულწილად პირადი ანგარება და სხვა მანკიერება უდევს საფუძვლად! ამ გამოვლენილ თუ გამოუვლენელ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის უმთავრეს იარაღად კი უნდა იქცეს შემმოწმებელი ორგანიზაციების რიცხვის მაქსიმალურად შეზღუდვა, თუნდაც უწყებების გაუქმებისა ან ერთმანეთში შერწყმის გზით, რადგან სხვაგვარად ძნელი იქნება სოციალურად გარდაიქმნას ჩვენს რეალურ ცხოვრებაში დამკვიდრებული ძველი ქართული ანდაზის არსი — **„მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ, მიჩვეულს ნუ მოაკლებ!“**

ბოლოს და ბოლოს ყოველგვარი შემოწმება მომხმარებელთა ინტერესს უნდა იცავდეს, იმ მომხმარებლისას, რომელმაც მკაცრი ადმინისტრირების მძიმე პერიოდში თითქმის სრულიად და-

ნახ. მ. აბაშიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ კარგი, დროზე გარდაიცვალა, თორემ მაგას რა გარდაქმნიდა?!

კარგა პროტესტის ხმამაღლა გამოთქმის უფლება. ახლა, საყოველთაო გარდაქმნის ჟამს, ეს უფლებადაკარგული მომხმარებელიც გარდაიქმნება და უმჯობესი იქნება, რომ მან თავად დაიცვას საკუთარი ინტერესები. არადა, შემმოწმებლის მიერ გამყიდველისათვის წაღლეტილი თითოეული კაპიკი ისევ და ისევ მომხმარებლის მდგომარეობას ამძიმებს, მომხმარებელთა ინტერესების ამგვარი „დაცვა“ კი მხოლოდ უსინდისო შემმოწმებელს აძლევს ხელს. განა მაღაზიის მუშაკებს წამლეტები აკლიათ? აბა, ჰკითხეთ, რა უჯდებათ მათ თუნდაც არადეფიციტური საქონლით დახლების შევსება. ტარის ჩაბარება, ხილეულის სასმელებისა და მინერალური წყლების შემოტანა ან თუნდაც დამლაგებლის შენახვა? განა სწორედ აქედან არ იწყება გამყიდველის მიერ მომხმარებლის ჯიბეში უნამუსოდ ხელის ფათური? გულუბრყვილო უნდა იყოს იმის დამჯერი, რომ ისედაც დაბალხელფასიანი გამყიდველი თავისი კანონიერი შემოსავლით ოჯახს კი არა, საკუთარ თავსაც ვერ არჩენს, პირადი დანაზოგიდან გაისტუმრებს გეგმურ თუ დაუგეგმავ მოხარკეებს!

დემოკრატია სიმშვიდესაც ნიშნავს და ჰარმონიულ დამოკიდებულებასაც პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, მაგრამ, როგორც ჩანს, მის საბოლოოდ დამკვიდრებას დიდი დავიდარაბა სჭირდება. შეურიგებლად უნდა ვებრძოლოთ ბიუროკრატიას, წარსულისაგან შემორჩენილ რუტინიზმსა და სტერეოტიპულ აზროვნებას, უნდა ვებრძოლოთ საკუთარ თავსაც. რადგან თავადვე შევაჩვიეთ თვალი და ყური მრავალ უმსგავსობას. ბიუროკრატიის დაღმით საკონტროლო ორგანოების რიცხვის დაუსრულებლად ზრდას ჩვენი საზოგადოებისათვის რომ კარგი ვერაფერი მოაქვს, ამაში ათეული წლების მწარე გამოცდილებამ უკვე კარგად დაგვარწმუნა.

ჯერჯერობით კი, ვიდრე ვიღაც „ყოვლისშემძლე“ სათანადო ამკრძალავ განკარგულებას გასცემდეს, სავაჭრო ორგანიზაციებს **უთავბოლოდ ამოწმებენ რევიზორები, ინვენტარიზატორები, ადმინისტრაციულ ორგანოთა წარმომადგენლები, საუწყებო თუ არასაუწყებო კომისიები, მესტანდარტეები, ექიმები, პენსიონერთა თუ ვეტერანთა საბჭოები, ფასების, ხარისხისა და უხარისხობის ინსპექციები, ტრესტები, კომიტეტები, სამმართველოები, სამინისტროები, განყოფილებები, მუდმივმოქმედი, დროებითმოქმედი თუ უმოქმედო სარეიდო ჯგუფები, სპეციალური ბრიგადები და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან თავმჯდომარის მოადგილეთა დონეზე შექმნილი სავაჭრო ინსტიტუტები,** რომელთა ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო გაბერა ისედაც გაბერილი მართვის ბიუროკრატული აპარატი, მაგრამ ვაჭრობის საქმე დიდად ვერ წასწია წინ.

იქნებ იმის დროც დადგა, რომ აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად თვითონ მომხმარებელმაც ამოიღოს ხმა?

ნანა ჯაჯანაშვილი,
როლანდ ჯალაღანია,
„ნიანგის“ სპეციალური კორესპონდენტები.



ეპიგრამა

ლადო მარტაშვილი

ღრმად პატივცემულ დირექტორს!

„აეკრძალოს გოგოებს სიგარეტი!“ —
თქვენ გსურდათ ეს კარგი საქმე გეთავათ!
ამას ვერ შეძლებთ, იცოდეთ, გეთაყვათ,
თქვენი მრავალი ცდის მიუხედავად!
რა თქმა უნდა, თქვენ მშვენივრად იცით, რომ
ჩემისთანებს ნებისყოფა ღალატობს!..
ხელი აიღეთ, ბატონო, მაგაზე,
ეგ არ მოხდება, მერწმუნეთ, არასდროს!
ახლა გთხოვთ ისიც გაითვალისწინოთ,
რომ დედაჩემიც ეწევა სიგარეტს,
რომ დედამთილიც ეწევა სიგარეტს,
რომ მამამთილი... ახლოს არ იკარებს!
ჩემი მხრიდან არ გამოვა ლამაზი,
თქვენ გაგიგონოთ და დედამთილს — არა!
გთხოვთ, ამის შემდეგ ნულარ შეწუხდებით,
რაც აქამდე ბრძანეთ, დიახაც, კმარა!
მე ვერ ჩამოვრჩები ოჯახის წევრებს,
ვერ ვათქმევინებ, **„რატომ გაგვიდექო?“**
როგორ? მხარში ამოდგომის მაგიერ
გული ვატკინო, მხარი ჩამოვტეხო?

ეპილოგი

წაიკითხავს დირექტორი განცხადებას
და ვნახოთ, თუ სასიკეთო რა მოჰყვება.
„ეჰ, რა ეშველება ამ ხალხს?!“ — აღმოხდება,
ნუგეშისმცემელი კი არ აღმოჩნდება!..
რას იზამს, აბა, წყენას გულში დამარხავს
და საკუთარი გულის წუხილს იკმარებს,
მერე საბრალო ჯავრს იმით გაიქარვებს,
რომ თავადაც გააბოლებს შხამსიგარეტს!..

რეგე კარიკატურა ❖❖ სუბიექტურ-ობიექტური წიგნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება №1986

ნოდეულს ჭრა-კერვის კურსებზე
მგოსნები, თანაც ქოსები
არ მიიღებიან. გვჭირდება
„დამწყები“ კრიტიკოსები!..

უძველესი სენი

რაკი ლიტერა... ტურული
თუ მგლური და... ყგუფფანი
ძველი გაბლავთ, ვით ხროვის ხმა,
ეულად რჩება ებანი!..

ძველეროენი ფია... სკო... ანუ გადიგადული პოეზია

შავ ხიზილალას ჩვეულო,
შენ, უშავესო „რჩეულო“,
ერთ დროს „დამწყებ პოეტის“
სისხლით ნაწერო რეფულო!..

ლიტ. გო ძიუ-ი, ანუ ნაგოცანი დო

ლიტერატურა ბრძოლაა: უი,
თანამეგრონეგ ძიუდო!
აი, უბოძეს მას ბო ძიუ-ი
სახელად, შენ კი — დო!..

ჭარი — იქა, ლხინი — აქა,
დოს მეგრულად ჰქვია ნაქა.

პასკალიელოლიგინის მიმდევალი, ანუ ანეგბაკაკების მოშვილება

პასკალიანტების პრესსუფრანტი:
ცალი, ჭორი და ლიზღალ..

ბაბთვის ულაყის ანდა კურატის...
იქნება დიდი ბიძეკი..

გულახდილი ლექსი სამფოგლის

ჩეშში ზის შენი ბუხპალტერი, —
სტარიქოვნებს თვალის,
ყასაბი, ლოსტი წმინდანისა,
ბეგს დინჯად ითლის!..
ლუარსაბინი, „დიდი კაცი“,
მრისხანე თითის
პატრონი — ძალად ნათესავი
„დიადი“ სკეთის!..

ქაბის ლაბინფერი „ფრაქილები“, ანუ ამგოზეაული წიგნის გასამართლება

ბარ ბოდლერის ხსოვნას

გადადუნავენ პოეტის კისერს,
ზედ გადადიან მალაყს ყბედები!..
მიიზლაზნება ფუნის ბორკვეთსენ
„დიადი საქმე“ შე... მოქმედების!..

„პატიოსან“ მოქალაქეს

გამეცინა ხარ და ცილის ოსტატი,
ტლისპი, თვალთმაქცი და ვაჭრუკანა,
ავაზაკიე ხარ, მრეშიც, ვაეკრნა, —
და დიდად მიკვირს, რად არ გაძეს
გული!

მ ა რ ტ ი ა ლ ი

ანდეოგი-დაბინოგი-ბაბინოგი

თუკი მექნება უფლის დასტური, —
მე მეგრნალება კაი კასტური:
თავად არც უნდა — „მიზანი
ითხოვს“ —
ყანნით დალიოს „ალადასტური“.

„პატრიოტული“ ლექსი გასტრონომან

დ ი ა ლ ო გ ი

— რა აზრის ხართ პირშუშაზე,
ანუ რუსთა ცნობილ „ხრენზე“?
— ზეგავლენას ვეღარ ახდენს

ვერავითარს კაცის გენზე,
და სუნელი მირჩევნია,
როცა ნაზად ხაზავს ვენზელს
ენაზე და ჯიგარს გიზვავს,
არარას ვამბობ კუჭის წვენზე!..

მრავალსერიანი კუდღაბანა

მიუხედავად ტუშის და ტაშის,
ღმერთის სძინავს, ხოლო თავანზე
ბნელა...

და ამ ცხოვრების რიარიაში
კვლავ საკუთარ კუდს იმონმპის მელა!..

კო... მისია, ანუ კო, მისია!..

ჩვენ ხომ ვიცით, იკადრე რაც:
ნეხვს მიადგი კიბე!..
მეშინია, ყოფილ „კარგ კაცს“
არ გაგისკდეს ჯიბე!..



ფეხვეიდრა ბოშა ქალთან

— რომ გიმკითხაო ყავაზე,
ბიჭო, რას იტყვი ამაზე?
— ხედავ? — ჭორი და ტალახი
აქ მოდის ყვავის „დამაზე“!..

„ტუზეკი“ და „ბუზეკი“

მიდის კაცი — ოფნიბუსი —
კოლო-ბუზის თვალში „ტუზი“...
ალარაფრის ეშინია,
გარდა ოკეანის კუსი...

„იდეალური“ იდილია

ელეკი მიდის სოფლის გზაზე,
ოქროთოხი უდევს მხარზე,
მერგოლური ტყემალზე ზის,
ბრიგადირი — ქვიშნა ბალზე,
თავმჯდომარე — სუფრასთან და
სადღეგრძელს ამბობს „ეალზე“

როცა მიზანი ამაორილებს საშუალებას...

თუკი ხდება უფლს ნებით,
მიდიან, გალმა შეედგეთ!..
„თივის თიბვენ მთბილები“,
მათ ძვლებს ტურა-ზვლები ხრავენ!..

„ო... პოზიციონერი“

ეპ, გაძნელდა პოეტობა!..
მინდა ვიყო სოსანი
ან ლამაზი ჩანის ბუ!..

თანაც ახალ ყაიდის!..
მაგრამ მოვა მიელიზებთ
ვინმე „ხალხის მგოსანი“,
ავს იკადრებს და ლაჟანის
შარვალს ყინნად ჩაიხდის!..
ხედ გარდგიქეც? — კი, ბატონო!..
მაგრამ შეფის ფინი
მოვა, ერთ ფეხს მალლა ასწევს...
გაფუქდება „სარჩენ“
ტომეგისთვის, „რჩეულთათვის“!..
ოპ, როგორ მეშინია!..
არ გამომდის სხვანაირად!
ისევ კაცად დაერჩები!..
რად უნდა გშურდეს პოეტის ბედის,
ეიცერნას თვლელ? ეიცანი... თუმცა
ეელარ დაეხატე... ხელმი დროებით
ვიღეს მარეიალს დ... შენთვის
ეუურცლაკ!..

მშვენიერების თანამედროვე სტილი

აქ „მეშობის“ ორად ორი,
ერთი გასლვავ „ეურატორი;
ინერს იგი და მეორე
„ნაზ კვალ“! ტოეებს თვისი ტორიან!..

პორტრეტი ქართული ანდაზის ფიზიზე

კაცს თუ ხურეკინი ჰკიდია,
სხვის ცოდვას ნინა თვალში ყრის,
თავისას — უკან... მინდი აქვს,
თან თავს ერავიკით ნაზად ხრის!..

„მუშა ფუტკარის“, ანუ კო... ლეზის ბასაკირი

თარგმნა და თავად დაურთო
„მსუქანი“ კომენტარები:
ეელარ შეალო ვერაფრით
მწერლობის „თუჯის კარები“,
თუმც ხდება — მაღაზიებშიც
კი იყიდება ტარები
თოხის და ბარის, მაგრამ იქ
ეელარ შეგხვდებთ მყარნი!..

პროლეტარულ-ლიტერატურული ტუზის დარიგება

გერჩიენა სევერანინს,
ალაკო, ყოფილო ყაზახო,
გეკითხა სეევრანინს
„დიდი და მეორე გაზზრახვა“!

ბ ე ლ ა ს?!

თეატრის წინ ყავას სვამენ:
ცოუს — ამკობენ, მართალს — რთავენ
ჭორით!.. ღმერთო, მიუტევე! —
შენ ხომ იცი, რასაც ჭამენ?!.

„ალაკ ერი ალაკი იყო...“ (ვარიანტი)

ალაბათ მიიღებს იმქვეყნად
პატრიასანის ორდენს!..
ამქვეყნად იმსახურებდა
ქალალდის ფურცელს — ორდერს!..

მეზღვაურის მეტივეური, ანუ არაკარფეტიანელი სატირიკოსის ფეირი შე...სავალი

ვიცნობ უამრავ თანამედროვეს,
„ნიჭიერ“ მსუნაგს, თანაც...
მედროვეს.
ამიტომ ხდება, რომ ნეგატივი
არ მომაქვს სტერრით, არამედ —
ტივით!..

დაგვიანებული კანეგბერიკი შავ ნაგაზს

ძალი იცნობს ადამიანს,
ცნობს ნაგაზი არაკაცსაც:
ჭას უბრალოდ ძალი ჰქვია, —
ნეხეს არ ჭამს და არავს არ სვამს!..

აარეკვანი თქვენზეა!

როცა „მწერლობის ბედი“ წყდება
ყავახანაში,
„მამა-მარჩენალს“ უცივდება
მათლაფა ხაში,
ყვერულის ლანდი იფხორება
„ალდგომის“ ცაში,
ამოარჩევთ: უსტგინოთ თუ
დაუკრათ ტაში!..

უკითხრის კვალი

ყვა-ყვა ყვავის, ეხდავ — ყვავის...
ნეტავ ახლა ვის დასჩხავის?..
შ...ავი ყ...ავის ალრიანტი —
ფინჯანზე ჩანს ბიღნი კვანტის!..

„ბარაქეის“ — ვისთვის? — ბაბალისთვის!..

ყავახანის მოდერნისტი,
თვალზე გადაკრული ბისტით
ქისტს ირტყამდა მეკრნეზე: ვისთვის? —
ყვავის „ჩუმი“ ბაბალისთვის!

რიგი. ბეეთოვენ — ნა (ლიზეგან)

ახლანდელი ჭკვიანი ლლეს მარტო მოხვეეჭასტა ფიქრობს.

ფ ა ქ ა-ფ ბ ა ვ ე ლ ა

ქვეელგგიპატერ ნეხვის ხოჭოს —
ოქვენს თილისმას ანმფოში —
შეუძლია მოიხვეჭოს
სახრავიც და კალოშიც!..

გაზეთის პირველ გვერდზე

მინანდერი

ეპა, ლექსი — „პარავოზი“!
ხედავთ, ზევით ტაკი რო ზისე?
„მგოსანია“, თანაც ფიზით,
ფიას კი ჭამს... სუფრის კოეზით!..

ნლის ლიტერ... ა... ტურული „მოსავალი“

ერთს გამოსდის სამი წიგნი,
მეორეს კი — სამი ბრანნი,
პატკანიკით ბალახს წინკნის...
პირველს — ფაშვით დააქეს ყანნი!..

თაობრი „მალალ ფიანეზე“, ანუ ზეცაში

პატრიასანი უფალი
ეუბნებოდა უნეცო
ეშმას: თუ დაკრჩით უფულოდ,
ანნლი არ მოგაცემს ეურძენსო!..

რად არ დაფრენს სირაკადეგა?

სილის სილრმეში მშვიდდება,
ბოლოდან — რკინის მკვნეტია!..
18 კგ სჭირდება
ის კი — ცენტნერზე მეტია!

ჯაყოს „კაპრატივი“

ᲘᲣᲛᲝᲠᲔᲡᲙᲐ

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ მოსაცდელში ხალხი ირეოდა. მდივან გოგონას არ ასვენებდნენ: ახლა ჩემი რიგია, ახლა ჩემიო!.. მოულოდნელად გოლიათური გარეგნობის კაცი შემოვიდა ოთახში. ერთი მტკაველის სიგრძე ულვაშები გაცვეთილი ცოცხებივით ეყარნენ ლოყებზე. შუბლი დაბალი და ჩაზნექილი ჰქონდა, ცხვირი — მოკლე და აჭყლეტილი, თვალები — მსხვილი კაკლის ოდენა, თანაც ცოცხალი და ცუღლუტი, მოელვარე და მოუსვენარი, იღლიაში ჭედილა ამოეჩარა, რომელიც ისე მსუბუქად ეკავა, თითქოს ის ცხვარი ვარიაზე მძიმე არ ყოფილიყო.

შემოვიდა და დაუკითხავად შეაღო თავმჯდომარის კაბინეტის დერმანტინგადაკრული კარი.

— თავმჯდომარე გინდა, შენი წირიმე! — მიახალა შესვლისთანავე.

მაგიდასთან მჯდარი თავმჯდომარე, რომელიც ვიღაც მთხოვნელს უსმენდა, შეკრთა და გაოცებულს ესღა აღმოხდა:

— მოითმინეთ,ამხანაგო! ხომ ხედავთ, მიღება მაქვს!..

— ვეღარ მოითმინებდე ჯაყო ჯივაშვილი! მიღება თუა, ეს ჩემი ჭედილაც მიიღე! — და ცხვარი იქვე კუთხეში მიაგდო.

თავმჯდომარემ ახლა ხმამაღლა დაუყვირა:

— რას აკეთებთ, ამხანაგო! იცით, სადა ხართ?!

— ჯაყოს არავის გეშინია, შენი წირიმე! მაშ, მაშა! არავის გეშინია! დედას გიტირებს ჯაყოი ყველას! — და სკამზე ჩამოჯდა.

გაოგნებული თავმჯდომარე იძულებული გახდა თავი დაენებებინა ჯაყოსათვის, მანამდე მისულ მთხოვნელს დახმარება აღუთქვა და შემდეგ ჯაყოს მიუბრუნდა:

— რამ შეგაწუხათ, ამხანაგო?

— ნაშინდარიდან გახლავს ჯაყოი, შენი წირიმე! აქ მოვედი და ჯაყომ თხოვე მთავრობას, რომა კაპრატივი გახსენი. წინათაც ჰქონებოდი ჯაყო ჯივაშვილს დუქანი, იგივე კაპრატივი, მაგრამ ის კაპრატივი კჩორტუ!.. ჯაყოს ახალი კაპრატივი გინდა! მაშ, მაშა! კაპრატივი გინდა ჯაყოსა!

— ესე იგი, თქვენ გინდათ კოოპერატივი გახსნათ? — დაეკითხა თავმჯდომარე.

— გინდა, შენი წირიმე, გინდა!

— მაგისათვის ნებართვაა საჭირო, ოღონდ მანამდე უნდა ვიცოდეთ, ვინ იქნებიან კოოპერატივის წევრები, ვინ უხელმძღვანელებს კოოპერატივს, რას აწარმოებს იგი, სად იქნება ტერიტორიულად. ამავე დროს საჭიროა ცნობები კოოპერატივის წევრთა შესახებ...

— ყველაფერი ვიცის ჯაყომა, ყველაფერი.

— მაინც რა იცი?

— ჩემი კაპრატივი, ასე გითხრამ, ყველაფერი გააკეთებდე, კარგი ხინკალი, ბუღლამა, ხაში და ხაშლამა. ყველაფერი ვიცის ჯაყომა. ჯაყო ხაზეინი იქნებოდე, თეიმურაზი დახლიდარი, ჩემი მარგო კნეინა — პოვარი, ჩემი ცოლი პელო — დამლაგებელი, ბოღრია კიდევ — ღამის დარაჯი!..

— ეს ბოღრია ვიღაა?

— ჩემი ძაღლი, შენი წირიმე!

— კარგი, ამხანაგო ჯაყო! ახლა წაბრძანდით, საბუთები შეაგროვეთ და მოიტანეთ! იმედი მაქვს, თქვენი საქმე დადებითად გადაწყდება! დღეისწორს მობრძანდით!

— დადებითი არ ვიცის ჯაყომა. ჯაყომ ჭედილა იცის. აქ მოგიტანოდე და დავდეი. თუ გინდოდეს, დაგიკლავს ჯაყომა!.. ეს თქვენი ფეშქაში გახლავარ!

— ამხანაგო! ნორმალური ხართ თუ არა?! ნაიყვანეთ თქვენი ჭედილა და მოშორდით აქაურობას, სანამ მილიციას დავუძახებდე!

— მილიციას დედას გიტირებს ჯაყოი. არავის გეშინია ჯაყოსა, არავის! ჩემი ჭედილა რათ არ გინდა მიიღებოდე?

— წაბრძანდით, ამხანაგო ჯაყო, და როგორც გითხარით, ისე მოიქეცით. გიმეორებთ, რომ, რაც გითხარით, ის საბუთები მოიტანეთ, მერე ვიმსჯელებთ და საკითხს ალბათ დადებითად გადავწყვეტთ! ოღონდ ეს მითხარით, პროდუქტებით ვინ მოგამარაგებთ?

— მოკვდეს ჯაყოი, ბაზარი ვიცის ჯაყომა, ხორცის ყიდვაი! ჯაყო შვიდ მანეთად ცხვრის ხორცს იყიდოდე, ხინკალი ბლომათ გააკეთებდე, ბუღლამაც გააკეთებდე, მოგებას იშოვიდე, მალე ან მილიონერი გახდებოდე, ან გაკოტრდი და გაკოტრდი!.. მაშინ კჩორტუ კაპრატივი, ჯაყომ დუქანი გაგიკეთე და მარტო იმპორტული საქონლით ივანრე... დადექი და გაყიდე, თან მარგოს ელაპარაკე, თან თეიმურაზი, ჩვენი ბრინკა, ანვალე!..

— ეგ მარგო და თეიმურაზი ვიღაა?

— ჩემი ნათლიები, შენი წირიმე!.. ჰო, დუქანი გააკეთე, იმპორტული საქონელი ივანრე, წამე და სვი, წამე და სვი ჯაყომა! მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

როგორც იქნა, თავმჯდომარემ თავიდან მოიშორა ჯაყო!..

ერთი კვირის შემდეგ კვლავ ეწვია ჯაყო.

— აი, შენი წირიმე, საბუთები მოიტანე, ყველაფერი აქ არის!...

— ორი დღის შემდეგ მომაკითხეთ!

ორი დღეც გავიდა. ჯაყო კვლავ თავმჯდომარესთან არის.

— ესეც შენი კოოპერატივის ნებართვა! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! — უთხრა თავმჯდომარემ.

მას შემდეგ ჯაყოს „კაპრატივი“ მთელი ძალით ამუშავდა. ახლა თეიმურაზიც კმაყოფილია, მარგოც, პელოც, ბოღრიაც, და, თქვენ წარმოიდგინეთ, თავმჯდომარეც. ჯაყო ხომ არის და არის!

მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყომა!

თ. წითელხეველი

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

ᲣᲡᲘᲢᲧᲕᲝᲓ

ნახ. მ. აბაშიძისა



— დაიწვა ხალხი?
— კი, თათბირს გადაყვნენ!..

კოოპერაცია თუ სპეკულაცია?

ვხედავ, რაც არის! რად უნდა
ამას ტელე და რაცია?
მყრალა იგივე არ არის,
რაც ვარდია და რაც ია!
თუ თავის შექმნილ დოვლათზე
წარმოებს ოპერაცია,
რაღა თქმა უნდა, ეს არის
ნამდვილი **კოპერაცია!**
და, თუ მზა პროდუქტს მანეთად
ყიდულობს საქულა ძია,
მე კი სამმაგად მასაღებს,
ეს არის **სპეკულაცია!**
ამაზე დამემოწმება
ჭინში — მამულათ ბაძია —
ტყუილს არ იტყვის, მტრედივით
ალალ-მართალი კაცია!..
...თუ ასე ვივლით, მოხდება
ბურჟუის რესტავრაცია!

X X X

ზოგ-ზოგი **კოპერატორი**
უშრომელ სახსარს მოება,
მზამზარეული ნაწარმით
დაიწყო „აღწარმოება“!

X X X

დღისით და მზისით ეს ტიპი
ჩემი ჯიბისკენ მოიწევს!..
თუ იმას არ აწარმოებს,
რასაც თვითონვე მოიწევს,
ბოლო დროს ძლიერ ცუდ ამბავს
მეც მომწევს, თავსაც მოიწევს!

ალექსი ჭინჭარაული



მოულოდნელი შედეგი

იუმორესკა

— რა ღირს „ნოლ შვიდის“ საჭე?
— ას ოცი მანეთი!
— ეს მაღაზიაა თუ კოოპერატივი?
— მაღაზია!
— მერე, სამოცდაათმანეთიან საჭეს ას ოც მანეთად რატომ ყიდით?

ამ კითხვის შემდეგ, რასაც ალბათ სიტყვიერი გაფრთხილება ჰქვია, მოხდა მოულოდნელი რამ: ერთ-ერთი რაიონის რკინა-კავეულის მაღაზიაში ავტომანქანის საჭეც გაქრა და მუშად გაფორმებული გამყიდველიც!.. მეტიც, მას შემდეგ ამ მაღაზიაში ვეღარ ნახავთ დახლზე ყვავებივით ჩამომსხდარ გამყიდველებს, ყველა დგას ფეხზე (ზოგჯერ ფეხის წვერებზეც), ყველას აცვია ვაჭრობის მუშაკის სპეციალური ფორმა და კლიენტებს კაპიკ-კაპიკ უბრუნებენ ხურდას!..

იგორ ცეცხლაძე

ალმაზ ბარიძე

ერთი გოგონა მიყვარდა

ხალხურ მოტივზე

ერთი გოგონა მიყვარდა —
არისტოკრატის ქალი მე,
ჯერ უნახავად „მყლაპავდა“
მისი დედიკოს თვალი მე!..
გოგონა ვთხოვე, გაოცდა,
შუბლზე ნავკიდე ალი მე:
„არისტოკრატმა მოლექსეს
ვით გაგატანო ქალი მე?!
სახლი და კარი არა გაქვს!“ —
ერთხელაც გამკრა ბრჭყალი მე!..
გამოვბრუნდი და დამეწვა
ცეცხლით ხორცი და ძვალი მე!..
გოგონა სახლში ჩაკეტეს,
მაძახებინეს „ვაიმე!“
ვფიცავ, იმასაც ვუყვარვარ,
არ მიხმარია ძალი მე!..
მიშველეთ, ცეცხლი ჩამიქრეთ,
გადამასხურეთ წყალი მე,
შემართვევინეთ გოგონა,
არისტოკრატის ქალი მე,
თუ არა, აუცილებლად
უნდა მოვიკლა თავი მე!..

მოსე პაპას ნაამბობი

ბუშინ მეზობელი ცოლ-ქმრის ჩხუბი რომ გავიგონე, სიმართლე გითხრა, ძალიან გამიკვირდა. კაი ხანია, აღარ უჩხუბიათ მაგ დალოცვილიშვილებს და რა ბუზმა უკბინათ ნეტავი? არა, მაინც რას ერჩოდა ი წვერგოუპარსავი ბენო, ძლივს რო გამოგლიჯეს ხელიდან საცოდავი ჟუჟუნა? ნუ იფიქრებთ, ჟუჟუნა ქმრის დაუკითხავად სამოგზაუროდ წასულიყოს ან უხამსი საქციელი... უჰ, არა, ბატონო! ჟუჟუნასთანა პატიოსან, მშრომელ ქალს სოფელში ვერ ნახავთ, პატარძლობამდე ხო პირდაპირ ამ სოფლის თვალი იყო. რამდენ ბიჭს დოუყენა თვალი გათხოვებით, მარა ერთ პატრონს ხო უნდა ჩაბარებოდა, ხო უნდა ჰყოლოდა ერთი რჩეული? ჰოდა, აირჩია ჩვენი ბენოიე. კაი მშრომელი მამიშვილია ისიც. იტყვით გაკვირვებული, რა მოხდაო ამათ სახლში მაინც ასეთი? მეზობელი ვარ და რას გევიგებ მეზობლისას, მარა ხო იცით, თვალი ეშმაკია და ცდუნებული, ცოტა მაინც გამოვა ხოლმე ხმა გარეთ. არა, გენაცვალოს ბიძია, კი არ ვჭორავ ან... რახან შენ დაინტერესდი, გეტყვი მეც ცოტას: ადრე, ცოლქმრული ჩხუბი ხო იცი, რაცაა, იმ ჩხუბით ჩხუბობდნენ, უფრო სწორად, წაკინკლავდებოდნენ ხოლმე, ახლა კი...

ბენოს სამივე ძმა ქალაქშია წასული საცხოვრებლად, სამივე კაი თანამდებობაზე ყოფილა თურმე. ზაფხულში აქ ჩამოდიან მანქანებით და ცოლშვილიანად ისვენებენ. უნდა ნახოთ, რავა ესიყვარულებიან ერთმანეთს. იმათი შემყურე მტერიც კი გეიხარებს, რა ოჯახები, რა ცოლ-შვილი, სახლებიც ცალ-ცალკე ეიშენეს აქანა! ბენოც არ აკლებს პატივისცემას ძმებსა, აქეთ ქათამიო, იქით ხილიო და რა ვიცი!.. მათ ეზო-კარსაც ის უვლის წლიდან წლამდე. უნდა გითხრა, ჩემო ბიძია, ხო იცი ქალების ამბავი, ჟუჟუნაც შეუჩდა ბენოს, ავდგეთ და ჩევიდეთ ჩვენც ქალაქშიო, რავა, ჩვენი ბოვშვებიც იყონ ქალაქელებიო! შეუჩდა და შეუჩდა. ქალის შეჩენისა შეიძლება ბევრი არ იცი, შვილო, მარა ტვინს ამოგჭამს, ნერვებს დაგისუსტებს და მერე ქალაქში კი არა, შეიძლება ციმბირს გადაღმა გაყვე. ბენო არ გატყდა, ვერ ტოვებს მამაპაპისეულ კერიას. წყნარი კაცია, მარა, ხო იცი, „ცხვარი ცხვარიაო...“ ჰოდა, გაცხარდა და...

P. S. **რამდენიმე წელი გავიდა მოსე პაპას ნაამბობიდან, როცა შევიტყვე, ბენო თავისი ცოლ-შვილით ქალაქში გადასახლდაო.**

სევდის მომგვრელი ბაღი

უნივერსიტეტის ბაღი! — ვინ იცის, რამდენი ადამიანის სიყვარული, უტკბილესი მოგონებანი უკავშირდება ამ სანუკვარ ადგილს! აქ იკრიბებიან ხოლმე ყოფილი თანაკურსელები, ისინიც, ვისაც უნივერსიტეტი მონატრებია, აქ ასეირნებენ თავიანთ პატარებს და თან მოძღვრავენ: აქ, ამ შენობაში ლექციებს ატარებდა დიდი მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი, ამ შენობაში გაატარა ცხოვრების ბოლო წუთები ვაჟა-ფშაველამ!.. მერე თავს გაიქნევენ და სიყვარულით მიმოავლებენ თვალს მოქათქათე შენობას.

ბოლო ხანებში, ისე როგორც მთელს ქალაქში, უნივერსიტეტის ბაღში ძაღლებით მოსეირნენიც გამოჩნდნენ. მერე და რაა აქ ცუდი? ეს გონიერი ცხოველები ხომ არავის არაფერს უშავებენ, თავისთვის დაატარებენ გრძელ ბეწვს და ტყავის ნიღაბს. ჰაი, ჰაი, რომ ძაღლობა ენატრებათ, მაგრამ ისინი ზოოპარკის თუ ცირკის ძაღლებს უფრო ჰგვანან!

აგერ შვილიშვილი ეუბნება ბებუას: — ბებუ, ბებუ, შეხედე ნაძვის ძირას გოგოებს, ქვაზე ჩამომსხდარან და სიგარეტს ეწევიან! ბებუ, ხომ არ შეიძლება, ქალ-

მა სიგარეტი მოსწიოს? ეს ხომ უზრდელობაა?.. შვილიშვილმა ისე მიაყარა კითხვები, ბებუამ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, მხოლოდ შემდეგ დინჯად, როგორც ჭაღარა კაცს შეეფერება, უფრო დამოძღვრის კილოთი მიუგო პატარას: — გახსოვდეს, შვილო, არც ისე პატარა ხარ და მიტომ გეუბნები: უნივერსიტეტს უდიდესი სიყვარულით, დიდი ენერგიის ფასად ჩაეყარა საფუძველი და წინაპართა მიერ გაწეულ ამ ღვაწლს დაფასება და პატივისცემა უნდა! საყოველთაოდ ცნობილია, უნივერსიტეტის ეზოში შემოსვლისთანავე ჭუდს იხდიდა ივანე ჯავახიშვილი, აქ საქართველოს ღირსეული შვილები გაიზარდნენ, ეს ბაღიც უბრალო არ გეგონოს!..

ამ დროს ერთი, ნაძვის ძირში ქვის ლოდზე შემომჯდარი შარვლიანი ქალიშვილის უნაზესი ხმა შემომესმა: — უკაცრავად, სიგარეტი არ გექნებაააა...თ?

— არა-მეთქი, — ვუპასუხე (თავი უხერხულად ვიგრძენი, მართლა არ მქონდა სიგარეტი), ბებუისა და შვილიშვილის საუბარს კი უკვე ვეღარ ვისმენდი, ისინი ავტობუსის გაჩერებას უახლოვდებოდნენ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკა ასლამაზიშვილის ნახატები





519
31.VIII 1988

„ნიანგს“ უპასუხებს

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ჩხოლარია

„ნიანგის“ წლევანდელ მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული მასალის — **ხარისხი!.. ხარისხი!.. ხარისხი!..** — გამო გაცნობებთ, რომ საქსახსტანდარტის მიერ გასული წლის მარტის თვეში ოკამის, სურამისა და გორის ღვინის ქარხნებში პროდუქციის ხარისხის შემოწმების შემდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგად სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქციის ხარისხი სავსებით შეესაბამებოდა მოქმედი სტანდარტებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

აღსანიშნავია, რომ გოგირდისა და რკინის რაოდენობის შემცირების მიზნით ღონისძიებების გატარებაზე ქარხნებს რაიმე დამატებითი ხარჯები არ გაუწევიათ, ვინაიდან ღვინომასალების შენახვისას გათვალისწინებულია გოგირდის ანჰიდრიდის შედარებით მაღალი დოზების გამოყენება, რომლის შემცველობის შემცირება სტანდარტებით გათვალისწინებულ დონემდე ხდება პროდუქციის სარეალიზაციოდ მომზადების დროს, ხოლო რაც შეეხება რკინის შემცველობას, მისი რაოდენობა ყოველთვის მერყეობს, ვინაიდან ღვინო იქნება ეს თუ სპირტი, მუდმივ შეხებაშია ლითონთან და მისი შემცველობის დაყვანა ნორმატიულამდე ხდება ტექნოლოგიური პროცესების ჩატარების დროს, რაც გათვალისწინებულია ტექნოლოგიური ინსტრუქციებით და შეტანილია ქარხნების საწარმოო-საფინანსო გეგმებში.

აღნიშნულ ქარხნებში პროდუქციის ხარისხის შემოწმების შედეგებზე საქსახაგრომრეწვის ყურძნის წარმოებისა და გადამუშავების მთავარ სამმართველოში ჩატარდა თათბირი ღვინის ქარხნების დირექტორების მონაწილეობით, რომელზეც ყველანი მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, ხოლო რაც შეეხება გურჯაანის ღვინის მრეწველობის საწარმოო გაერთიანების მიერ კრიტიკულ შენიშვნაზე პასუხის დაგვიანებას, გაერთიანების გენერალური დირექტორი ამხ. ს. ტორიაშვილი გაფრთხილებულ იქნა აღნიშნულის დაუშვებლობის შესახებ.

7-88

ნახ. გ. ლომიძისა



ამერიკის შეერთებულ შტატებს ესპანეთმა მოსთხოვა, რომ თავისი ტერიტორიიდან გაიყვანოს F-16 ტიპის თვითმფრინავები. თავის მხრივ კი აშშ-ს არ უნდა, რომ დატოვოს ნატოს სამხრეთი ფლანგი.

ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ „უპატრონოდ" დარჩენილ F-16 გამანადგურებლებს იტალია თავშესაფარს დაპირდა.

მიფრინავენ ფეროები!..

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 16

(1770) აგვისტო გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ბაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 13. 07. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 08. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი **1,5. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ** ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14, შეკვ. 1831 უე 04791 ტირაჟი 137500 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137